დავით ჩიქოვანი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

ლაზარ ფარპეცის „სომხეთის ისტორია“ და მისი მნიშვნელობა ვახტანგ გორგასლის მეფობის დათარიღებისთვის

ვახტანგ გორგასლის მეფობის დათარიღება ერთ-ერთი პრობლემური საკითხია ისტორიოგრაფიაში, რის გადაჭრასაც უამრავი ავტორი შეეცადა და დღეისთვის ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობის ხანის შესახებ გამოთქმულია მრავალი, ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება.

უკანასკნელ ხანებში ვახტანგ გორგასლის მეფობის დათარიღების საკითხს აქტიურად ეხება მანანა სანაძე. თავდაპირველად მან ვახტანგის ცხოვრება 466/467-527/8 წლებით განსაზღვრა (Sanadze 2013, 370-375), შემდეგ კი მისი მოღვაწეობა 471-531 წლებზე გადაიტანა (სანაძე 2016, 312).

მ. სანაძე აღნიშნავს, რომ „ვახტანგის ცხოვრებისა და მეფობის ეს ქრონოლოგია ქართულ ისტორიოგრაფიაში აქამდე გავრცელებული თვალსაზრისისგან რადიკალურად განსხვავდება“ (სანაძე 2016, 309) და იქვე საკითხის ისტორიოგრაფიასაც განიხილავს (სანაძე 2016, 309), მაგრამ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, საქმე ასე ნამდვილად არ არის.

1899 წელს ჟურნალ მოამბის III ნომერში გამოქვეყნდა მოსე ჯანაშვილის წერილი „ვახტანგ გორგასალი“, რომელშიც ავტორი გამოთქვამდა იმ დროისთვის ისტორიოგრაფიაში მიღებული აზრისგან (439-499) განსხვავებულ თვალსაზრისს. მოსე ჯანაშვილი აიგივებდა ვახტანგ გორგასალსა და პროკოპი კესარიელთან ნახსენებ მეფე გურგენს და ვახტანგის გარდაცვალებას 532 წლით, ხოლო დაბადებას 472 წლით განსაზღვრავდა (ჯანაშვილი 1899, 1-29).

აღნიშნული მოსაზრება უკვე მომდევნო წელსვე სასტიკად გააკრიტიკა სერგი გორგაძემ (გორგაძე 1900, 113-130).

ამის მიუხედავად, მოსე ჯანაშვილმა თავისი დათარიღება ოდნავი ცვლილებით გაიმეორა 1906 წელს (ჯანაშვილი 1906, 201-225).

იმის საჩვენებლად, თუ რამდენად „რადიკალურად განსხვავდება“ მანანა სანაძის თვალსაზრისი მოსე ჯანაშვილის დათარიღებისგან, შევადარებთ მათ ერთმანეთს:

ვახტანგის დაბადება: მოსე ჯანაშვილი – 471 წელი (ჯანაშვილი 1906, 203), მანანა სანაძე – 470/471 წელი (სანაძე 2016, 309);

დედოფალ საგდუხტის რეგენტობა: მოსე ჯანაშვილი – 478-486 (ჯანაშვილი 1906, 203); მანანა სანაძე – 478-486 (სანაძე 2016, 309);

ვახტანგის ლაშქრობა ბიზანტიაში სპარსელებთან ერთად: მოსე ჯანაშვილი – 502-504 წწ. (ჯანაშვილი 1906, 209); მანანა სანაძე – 502-504 წწ. (სანაძე 2016, 313).

ვახტანგის ლაშქრობა ინდოეთში – მოსე ჯანაშვილი: 505-512 (ჯანაშვილი 1906, 213-215); მანანა სანაძე: 507/8-515/6 (სანაძე 2016, 313).

ვახტანგის გარდაცვალება: მოსე ჯანაშვილი – 531/2 წ. (ჯანაშვილი 1906, 203, 225); მანანა სანაძე – 531 წ. (სანაძე 2016, 321).

როგორც ვხედავთ, მანანა სანაძის მიერ შემოთავაზებული დათარიღება „ქართულ ისტორიოგრაფიაში აქამდე გავრცელებული თვალსაზრისისგან რადიკალურად განსხვავებული“ ნამდვილად არ არის და იგი თითქმის სიზუსტით იმეორებს მოსე ჯანაშვილის მიერ დიდი ხნის წინ გამოთქმულ მოსაზრებას.

ამასთან, მ. სანაძე შენიშნავს, რომ „ერთადერთი, რაც ვახტანგის მეფობის ამ ახალ ქრონოლოგიას, თითქოსდა, წინააღმდეგობას უქმნის, ეს პროკოპი კესარიელის ინფორმაციაა იმის თაობაზე, რომ 523 წლისათვის იბერიის (ქართლის) მეფე ვინმე გურგენი იყო“ (სანაძე 2016, 321). სინამდვილეში კი ჯანაშვილ-სანაძისეულ ქრონოლოგიას მთავარ წინააღმდეგობას უქმნის ვახტანგ გორგასლის თანამედროვე სომეხი ისტორიკოსის, ლაზარ ფარპეცის ცნობები, რომელთაც მანანა სანაძე თავის ადრინდელ გამოკვლევებში რატომღაც გვერდს უვლიდა.

ლაზარ ფარპეცის ცნობით, *„ქართლის ქვეყანაში მოხდა შფოთი და არეულობა. ვახტანგმა მოკლა ურჯულო ბდეშხი ვაზგენი* მეფე პეროზის ოცდამეხუთე წელს“ (Thomson 1991, 171; ჯანაშია 1962, 243).

რაკიღა პეროზის გამეფება 459 წლით იყო განსაზღვრული, სერგი გორგაძემ ვარსქენის მოკვლა და აჯანყების დაწყება 483 წლით დაათარიღა (გორგაძე 1908: 99). ხოლო ივანე ჯავახიშვილმა – 484 წლით (ჯავახიშვილი 1951, 241).

აჯანყების თარიღს ვრცლად შეეხო ლ. ნ. ჯანაშია:

„აჯანყების დასათარიღებლად ჩვენ ერთადერთი ცნობა გვაქვს ლაზარ ფარპეცისა. სპეციალურ ლიტერატურაში პეროზის მეფობა განსაზღვრულია 459-484 წლებით. თუ ჩვენ ამოსავლად მივიღებთ პეროზის გამეფების წელს, მაშინ გამოვა, რომ აჯანყება დაწყებულა 483 ან 484 წელს. რადგან პეროზის ოცდამეხუთე წელი სწორედ ამ წლებზე მოდის. მეორე მხრივ, თუ ჩვენ დავეყრდნობით თვით აჯანყების მსვლელობის აღწერას, რომელიც მოცემული აქვს ლაზარ ფარპეცის, დავინახავთ, რომ პეროზი ჰეფთალებთან ომში დაიღუპა აჯანყების დაწყებიდან მესამე წელს. რადგან აჯანყების დაწყებიდან ამ ამბამდე ორჯერ დაუზამთრებია. მაშასადამე, აჯანყება დაწყებულა 482 წ. რომელი თარიღია სწორი ამ ორში? ჩვენ ვფიქრობთ, მეორე. მართლაც, უფრო შესაძლებელია, რომ ლაზარ ფარპეცის შეშლოდა თარიღი (პეროზის ოცდამეოთხე წლის მაგივრად ეთქვა ოცდამეხუთე წელი), ვიდრე დავიწყებოდა და არეოდა თვით აჯანყების მსვლელობა და ორი წლის ამბები სამზე განევრცო. ამასთანავე, როგორც ცნობილია, პეროზის გამეფებამდე მასა და მის ძმას შორის ორი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ბრძოლა ძალაუფლებისათვის. ასეთ პირობებში პეროზის დაღუპვის თარიღი უფრო გარკვეულად და სანდოდ გვეჩვენება, ვიდრე მისი გამეფებისა. ამრიგად, ვარსქენის მოკვლა და ვახტანგის აჯანყება 482 წ. უნდა მომხდარიყო (ჯანაშია 1962, 142).

აჯანყების დათარიღების პრობლემას ცალკე სტატია მიუძღვნა კარენ იუზბაშიანმა, მან დაწვრილებით შეისწავლა აჯანყების მიმდინარეობა და ლ. ჯანაშიას მსგავსად დაასკვნა, რომ აჯანყება გრძელდებოდა არასრული 3 წელი. და რაკიღა იგი 484 წელს პეროზის გარდაცვალებით დასრულდა, აჯანყების თარიღად 482 წელი მიუთითა (Юзбашян 1986, 51-55).

როგორც ჩანს, აჯანყების ხანგრძლივობის მეშვეობით ვარსქენის მოკვლის თარიღის გამოთვლა დამაჯერებელი არ აღმოჩნდა მანანა სანაძისთვის, რომელმაც ამ უკანასკნელ

პერიოდში, საკონფერენციო მოხსენებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვახტანგმა ვარსქენი სიკვდილით დასაჯა არა 482, არამედ 484 წელს (სანაძე 2023, 30).

ამრიგად, რაკიღა მხოლოდ აჯანყების მიმდინარეობით ვახტანგის აჯანყების დათარიღება დამაჯერებელი არ არის და ქართულ ისტორიოგრაფიაში ისევ გაჩნდა კითხვები ვახტანგის აჯანყების თარიღთან დაკავშირებით, ვეცდებით, ამომწურავად გავცეთ პასუხი ყველა შესაძლო კითხვას.

პეროზის მეფობის წლების ათვლის პრობლემას საგანგებოდ შეეხო გერმანელი აღმოსავლეთმცოდნე თეოდორ ნელდეკე (Theodor Nöldeke – 1836-1930), იგი წერდა: „იეზდიგერდისა და პეროზის მეფობის ხანგრძლივობის დადგენა უნდა დავიწყოთ ამ უკანასკნელის გარდაცვალების წლიდან, რომელიც ჩვენთვის ცნობილია. ძველ წყაროებზე დაყრდნობით ელია (იგულისხმება ელია ნიზიბინელი – 975-1046) გვამცნობს, რომ სელევკიდური ერის 795 წლის (484 წ.) 14 იანვარს[1] მოხდა მზის დაბნელება და ამავე ხანებში გარდაიცვალა პეროზი. ჩემმა კოლეგამ ვინეიკმა კიდევ ერთხელ დამიდასტურა მზის სრული დაბნელების სიზუსტე.[2] ეს განიხილებოდა როგორც იმ საშინელი მოვლენის ნიშანი, რომელიც უნდა მომხდარიყო არც ისე დიდი ხნის შემდეგ, და არა მაინცდამაინც იმ ზამთარს, როდესაც ომი რთულად საწარმოებელი იყო ჩრდილოეთის რეგიონში. ეს თარიღი ასევე დამოწმებულია ებრაულ „შედერ ოლამ ზუტაში“,[3] რომელიც იერუსალიმის განადგურებიდან 416 წლისთვის = 484 წ. იუწყება: „იმ წელს სამყარო მოულოდნელად მეფის გარეშე აღმოჩნდა“. პეროზის მეფობის ბოლო სრული წელი იყო ის, რომელიც დასრულდა 483 წლის 23 ივლისს. აგათია მას (პეროზის მეფობას – დ.ჩ.) განსაზღვრავს 24 წლით, დანარჩენები – ჩვეულებრივ, 27-ით. ეს წინააღმდეგობა გასაგებია, მოკლე ანგარიში გადმოსცემს მხოლოდ იმ სრულ წლებს, როდესაც პეროზი რეალურად მართავდა. რიცხვი 27 მას ასევე აკუთვნებს მისი ძმის ჰორმიზდის ორ წელიწადს, რომელიც მან თავისთვის მიიწერა, ისევე, როგორც არასრული ბოლო [წელი], რომელიც, რა თქმა უნდა, სავსე იყო არეულობით, და რომლის დროსაც, როგორც ეს ებრაული წიგნი გვიჩვენებს, ახალი მეფე ჯერ არ იყო ტახტზე ასული. ტაბარის ჩვენებას, რომელიც პეროზის [მეფობის ხანგრძლივობად] 26 წელს ანგარიშობს, ასევე თავისი ახსნა აქვს, რომ ჰორმიზდ III-მ, როგორც ეღიშე უჩვენებს, იმეფა 2 წელი, ვიდრე პეროზმა არ დაამარცხა. მისი (პეროზის – დ.ჩ.) მონეტებიდან, რომლებშიც მისი მეფობის წლების ათვლა იწყება მე-3 წლიდან, ჩვენ ვხედავთ, რომ პეროზს აშკარად სურს ბოლო მოუღოს წინა ორ წელს, რომელშიც ის მხოლოდ ტახტის მაძიებელი იყო. მე-3 წლის მონეტები, როგორც ჩანს, მოჭრილია ისპაჰანსა და რევარდაშირში, ასე, რომ სახელმწიფოს ძირითად ტერიტორიებს [ამ დროისთვის] იგი უკვე ფლობდა“ (Nöldeke 1879, 425-426).

მოახერხა თუ არა პეროზმა ჰორმიზდ III-ის ორწლიანი მმართველობის საკუთარ თავზე მიწერა და საიდან აითვლებოდა პეროზის მეფობა თავად სასანიანთა ირანში? როგორც ზემოთ ვნახეთ, ამაზე პირდაპირი პასუხი ისტორიოგრაფიაში გაცემული არ არის და საკითხზე მსჯელობისას მეცნიერები აჯანყების ხანგრძლივობას ეყრდნობიან, მაგრამ რა მოხდება, თუ დავუშვებთ, რომ ლაზარ ფარპეცის ზუსტად არ აქვს აჯანყების მსვლელობა და ხანგრძლივობა გადმოცემული? ამ დაშვებას შეუძლია ლაზარ ფარპეცის ცნობათა სანდოობისადმი სერიოზული ეჭვი გააღვივოს და იგი, როგორც ვახტანგ გორგასლის მეფობის დათარი-

1 II კანუნის 14 რიცხვში (Delaporte 1910, 74).

2 მართლაც, NASA-ც ადასტურებს 484 წლის 14 იანვარს მომხდარ მზის სრულ დაბნელებას https://eclipse.gsfc.nasa.gov/SEsearch/SEsearchmap.php?Ecl=04840114

3 Seder Olam Zutta – ებრაული ანონიმური ქრონიკა.

ღებისათვის სანდო საყრდენი, მოშალოს. ამიტომაც, ვფიქრობთ, უმნიშვნელოვანესია ამ ეჭვების გაფანტვა.

საბედნიეროდ, ჩვენ მოგვეპოვება შესაბამისი წყაროები, რომლებშიც ამ კითხვაზე პირდაპირ პასუხს ვპოულობთ: ამ წყაროთაგან უპირველესად უნდა დავასახელოთ სასანიანთა ირანის დედაქალაქ სელევკია-ქტეზიფონში 497 წელს გამართული საეკლესიო კრების აქტი, რომელშიც ვკითხულობთ: *„ჩვენ ასევე ვაღიარებთ, მაგრამ მხოლოდ ამ საკითხთან დაკავშირებით, შეკრებას, რომელიც შედგა ბეთ ჰუზაის მხარეში, ქალაქ ბეთ ლაპატში,* მეფეთა-მეფე პეროზის 27-ე წელს*"* (Chabot 1902, 63. ჩიქოვანი 2019, 179).

საკითხის გამორკვევისთვის მნიშვნელოვანია „ეპისტოლეთა წიგნში" შემონახული სომხეთის კათოლიკოს ბაბგენის წერილი სპარსელი ქრისტიანებისადმი, რომელიც დაწერილია 506 წელს: *„ეს სარწმუნოება ჰქონდა ნამდვილად მთელს ჩვენს ქვეყანას ერთხმად და სრულიად არავითარი ცოდვა არ გამოჩენილა აშკარად **პეროზის მეფობის 27-ე წლამდე"*** (Գիրք թղթոց 1901, 43; ალექსიძე 1973, 147)

სასანიანთა ირანში მომხდარ მოვლენებს პეროზის მეფობით ათარიღებს V საუკუნის მიწურულისა და VI საუკუნის დასაწყისის სირიელი მოღვაწე სიმონ ბეთ არშამელი, რომელიც დაახლოებით 506-518 წლებს შორის დაწერილ წერილში „ნესტორიანელთა ერესისა და ბარსუმას შესახებ" წერს: *„როდესაც ხუზიტები და სპარსელები ცდილობდნენ [გაევრცელებინათ] ნესტორისა და თეოდორეს სწავლებები, როგორც მათ იგი მიიღეს ჰიბასგან, მათ გამართეს სხვადასხვა კრება სპარსელებს შორის, პირველი ბეთ ლაპატში, ხუზიტების მთავარ ქალაქში – ეს მოხდა **პეროზის, მეფეთა-მეფის 27-ე წელს**... ყველა სპარსელი ამ [რწმენას] ინარჩუნებდა **[პეროზის] 27-ე წლამდე,** როდესაც სპარსელთა ეპისკოპოსებმა დაარღვიეს ყველა ზემოხსენებული ეპისკოპოსისა და მეფის ანათემა და ჩამოაყალიბეს მათი [რწმენისგან] განსხვავებული სარწმუნოება... ჩვენ გამოვეყავით ნესტორიანელთა ერთობას **პეროზ მეფის 27-ე წლიდან** ვიდრე დღევანდელ დღემდე და შევაჩვენეთ ისინი"* (Assemanus 1719, 355-358; Garsoïan 1999, 455-456; Becker 2008, 36-38).

ჩვენთვის საინტერესო საკითხზე ცნობას ვხვდებით სასანიანთა ირანში არსებული „აღმოსავლეთის ეკლესიის" 605 წელს გამართული კრების აქტში: *„ჩვენ ასევე ვიხსენებთ, რომ ღვთაებრივმა შეკრებამ, რომელიც გაიმართა ბეთ ჰუზაიეში, ქალაქ ბეთ ლაპატში, **მეფეთა მეფე პეროზის 27-ე წლის** ნისანის თვეში"* (Chabot 1902, Syr. 210, Ft. 475; ჩიქოვანი 2019, 136).

როგორც ვხედავთ, სასანიანთა ირანის არსებობის პერიოდის ყველა დოკუმენტი, რომელიც უშუალოდ სასანიანთა ირანში ან მისი გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე იქმნებოდა, პეროზის მეფობას აითვლიდა არა მის მიერ ერთპიროვნული მმართველობის ხელში აღებიდან (459 წ.), არამედ იეზდიგერდ II-ის გარდაცვალებიდან (457 წ.). როგორც ჩანს, პეროზმა შეძლო საკუთარ ძმასთან ხელისუფლებისთვის ბრძოლის წლები საკუთარი მმართველობის პირველ წლებად გამოეცხადებინა და სასანიანთა ირანში ამგვარი წელთა აღრიცხვა დაამკვიდრა.

მართალია, აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას თეოდორ ნელდეკეს ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი წყაროები არ განუხილავს, მაგრამ, თავის გამოკვლევაში მან სამართლიანად დაასკვნა: „პეროზის პირველი წელი, სინამდვილეში კი ჰორმიზდ III-ისა, იყო ის წელი, რომელიც იწყებოდა 457 წლის 30 ივლისს. როგორც ნომინალური მესამე წელი პეროზისა, რო-

მელშიც იგი სინამდვილეში გახდა მეფე, იყო წელი, რომელიც დაიწყო 459 წლის 30 ივლისს“ (Nöldeke 1879, 426).

შესაბამისად, ლაზარ ფარპეციც, არის რა მოვლენათა თანამედროვე, მისდევს სასანიანთა ირანში დამკვიდრებულ წელთა აღრიცხვას და არანაირი თარიღის შეშლა, როგორც ამას ნ. ჯანაშია ვარაუდობდა, ჩვენ მის თხზულებაში არ გვაქვს. „პეროზის 25-ე წელი“ არის არა 484 წელი, როგორც ეს ჩვენს ისტორიოგრაფიაში იყო მიღებული, არამედ 481/2 წელი. სწორედ ამ დროს დაიწყო ვახტანგის აჯანყება, რომლის დაწყებიდან 2 წლის შემდეგ, როგორც ეს ლაზარ ფარპეცის თხზულებაშია წარმოდგენილი, 484 წელს, ჰეფთალებთან ომში დაიღუპა პეროზი.

რაც შეეხება ლაზარ ფარპეცის მიერ პეროზის მეფობის წლების ამგვარ ათვლას, არათუ მის ცნობათა სანდობაში დაეჭვების საფუძველს იძლევა, არამედ, პირიქით, დამატებითი არგუმენტია მათი უტყუარობისა, განსაკუთრებით ქრონოლოგიის საკითხში.

ვფიქრობთ, მკვლევრებმა ეს მონაცემები უნდა გაითვალისწინონ იმ ყველა შემთხვევაში, როდესაც სათარიღო მონაცემები ათვლილია პეროზის გამეფებიდან – „შუშანიკის წამებაში“ არსებული ქრონოლოგიური მონაცემების გამოთვლისას („მერვესა წელსა სპარსთა მეფისასა“) და ბოლნისის სიონის მშენებლობის დაწყების („ოც წლისა პეროზ მეფისა ზე“) დათარიღებისას.

ამრიგად, ეჭვგარეშეა, რომ 482-484 წლებში ვახტანგ გორგასალი ქართლის მეფეა, აქტიურად იბრძვის სასანიანთა ირანის წინააღმდეგ, პირადად მონაწილეობს ბრძოლებში და ამ აჯანყების მთავარი ფიგურაცაა. რაც აბსოლუტურად ეწინააღმდეგება ჯანაშვილი-სანაძისეულ ქრონოლოგიას, რომლის მიხედვითაც 471 წელს დაბადებული ვახტანგი აჯანყების მიმდინარეობისას მცირეწლოვანი იყო და ქართლს რეგენტი დედოფალი, საგდუხტი განაგებდა. შესაძლოა, სწორედ ამ შეუთავსებლობის გამო სჭირდება მანანა სანაძეს ვახტანგის აჯანყების 484 წელზე გადატანა, მაგრამ ვერც ეს შეცვლის რაიმეს, რადგანაც ვახტანგი, თუ იგი 471 წელს დაიბადებოდა, ამ დროისთვისაც მცირეწლოვანი, 13 წლისა იქნებოდა.

ამდენად, ეჭვმიუტანლად ცხადია, რომ ა) ვახტანგმა პეროზის წინააღმდეგ აჯანყება 482 წელს დაიწყო; ბ) ლაზარ ფარპეცის არ ეშლება აჯანყების დაწყების თარიღი და არც მიმდინარეობა, იგი იყენებს სასანიანთა ირანში მიღებულ წელთა აღრიცხვას და პეროზის გამეფებას აითვლის იეზდიგერდ II-ის გარდაცვალებიდან; გ) 482-484 წლებში ვახტანგ გორგასალი ქართლის სრულწლოვანი და სრულფასოვანი მეფეა, ამდენად ჯანაშვილი-სანაძის ქრონოლოგია მცდარია.